

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქიმიის დეპარტამენტი

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ა ძ ე

Co (II), Ni(II), Cu(II), Zn(II) და Cd (II) კომპლექსწარმოქმნის შესწავლა
ბუნებრივი წყლებიდან გამოყოფილ ფულვომჟავებთან

ქიმიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი:

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი , თსუ პროფესორი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული

აკადემიის აკადემიკოსი

შოთა სამსონია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი , საქართველოს

საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი

გურამ სუპატაშვილი

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი მახარაძე

თ ბ ი ლ ი ს ი

2019

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Faculty of Exact and Natural Sciences

Department of Chemistry

Tamar Makharadze

Thesis on the theme

Investigation of Complex Formation Process of Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) and Cd (II) with Fulvic Acids, Isolated from Natural Waters

Presented to obtain academic degree of Doctor of Chemistry

Coordinator of Doctoral Program:

Doctor of Chemical Sciences, Professor, Full Member
of the Georgian National Academy of Sciences

Shota Samsonia

Scientific Supervisors:

Doctor of Chemical Sciences , Full Member
of the Georgian Academy of Natural Sciences

Guram Supatashvili

Doctor of Chemical Sciences

Giorgi Makharadze

Tbilisi
2019

ანოტაცია

ბუნებრივი ,მაკრომოლეკულური ორგანული ნივთიერებები, ფულვომჟავები , ფუნქციური ჯგუფების მეშვეობით, აქტიურად მონაწილეობს ბუნებრივ წყლებში, ფსკერულ ნალექებსა და ნიადაგებში მიმდინარე სორბციულ და კომპლექსწარმოქმნის პროცესებში. ფულვომჟავები იძლევა მდგრად კომპლექსებს, როგორც მძიმე მეტალებთან, ასევე რადიოაქტიურ ელემენტებთან და განაპირობებს ბუნებრივ ობიექტებში მათ მიგრაციის ფორმებს .

მონაცემები ფულვომჟავების კომპლექსების მდგრადობის მუდმივების შესახებ რამდენიმე რიგით განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთი მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია, კომპლექსწარმოქმნის პროცესში, ფულვომჟავების იონიზაციის ხარისხის და მათი ასოციატების საშუალო მოლეკულური მასების pH-ზე დამოკიდებულების გაუთვალისწინებლობით, რასაც საბოლოოდ არასწორ შედეგებამდე მივყავართ.

ჩვენს მიზანს შეადგენდა , pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობებზე, Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) და Cd (II) ფულვატური კომპლექსების შედგენილობების და პირობითი მდგრადობის მუდმივების დადგენა და მათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების გამოვლენა.

ბუნებრივი წყლებიდან გამოყოფილია ფულვომჟავების სუფთა ნიმუშები . დადგენილია მათი ელემენტური შედგენილობა, დისოციაციის მუდმივები და გელ-ქრომატოგრაფიულ ფრაქციებში (სეფადექსი G-25), სხვადასხვა pH-ზე მათი განაწილების კანონზომიერებები .

ხსნადობისა და გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით, pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობებზე (5.0, 6.0, 7.0, 8.0, 9.0), ექსპერიმენტულად დადგენილია და ლედენის მეთოდით გათვლილია Co (II), Ni(II), Cu(II), Zn(II) და Cd (II) ფულვატური კომპლექსების პირობითი მდგრადობის მუდმივები.

დადგენილია, რომ ფულვომჟავების „ოლიგომერის“ საშუალო მოლეკულური მასის გამოყენება ოპტიმალურია ფულვატების მდგრადობის მუდმივების გათვლისას. განსაზღვრულია Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) და Cd (II) ფულვატური კომპლექსების პირობითი მდგრადობის მუდმივების (β) მნიშვნელობები სხვადასხვა pH-ზე „ასოციატის“, „ოლიგომერის“ და „აქტიური ასოციატის“ მიხედვით.

ნაჩვენებია, რომ ფულვატური კომპლექსებისთვის დამახასიათებელია შემდეგი კანონზომიერება $\beta(\text{pH}9) > \beta(\text{pH}8) > \beta(\text{pH}7) > \beta(\text{pH}6) > \beta(\text{pH}5)$, ამასთან pH -ის ნებისმიერ მნიშვნელობაზე $\beta(\text{Cu}) > \beta(\text{Ni}) > \beta(\text{Zn}) \geq \beta(\text{Co}) > \beta(\text{Cd})$.

ჩატარებული კვლევები ფუნდამენტური ხასიათისაა. შედეგები წარმატებით შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი კლასის და ტიპის ბუნებრივ წყლებში მძიმე მეტალების მიგრაციის ფორმების გასათვლელად და წყალსაცავების ეკოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირებისთვის.

Annotation

Fulvic acids represent macromolecular natural organic substances. Due to functional groups they take an active part in complex formation and sorption processes proceeded in natural waters, bottom sediments and soils. Fulvic acids form stable complexes with heavy metals and radioactive elements and stipulate their migration forms in natural objects.

Existed data about stability constants of complex compounds of fulvic acids differ in several order from each other. This condition is mainly stipulated by avoiding the dependence of ionization degree of fulvic acids and average molecular masses of their associates on pH, which causes the wrong results.

The purposes of the presented work were to identify composition of fulvate complexes of Co (II), Ni(II), Cu(II), Zn(II) and Cd (II), to calculate conditional stability constants and to reveal their characterizing regularities at different values of pH.

Pure samples of fulvic acids were isolated from natural waters. It was established their elemental composition, dissociation constants and regularities of their distribution constants in the gel -chromotographic fractions (Sephadex G-25) at various pH.

Conditional stability constants of fulvate complexes of Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) and Cd (II) were experimentally determined with the solubility and gel- chromatographic methods and were calculated by Leden method at various values of pH (5.0, 6.0, 7.0, 8.0, 9.0).

It was established that the use of average molecular mass of “oligomer ” is optimal for the calculation of the conditional stability constants of fulvate complexes.

The values of conditional stability constants (β) of fulvate complexes of Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) and Cd (II) at different pH according to “associate”, “oligomer” and “active associate” were determined.

It was shown, that fulvate complexes are characterized by following regularity: $\beta(\text{pH}9) > \beta(\text{pH}8) > \beta(\text{pH}7) > \beta(\text{pH}6) > \beta(\text{pH}5)$, besides $\beta(\text{Cu}) > \beta(\text{Ni}) > \beta(\text{Zn}) \geq \beta(\text{Co}) > \beta(\text{Cd})$ at any values of pH.

The presented investigations belong to the fundamental research. The obtained results may be successfully used for calculation of the migration forms of heavy metals in any type of natural waters and for the prediction of ecological condition of water reservoirs.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	6
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.	8
1.1. ელემენტური შედგენილობა და ფუნქციური ჯგუფები.....	8
1.2. ფულვომჟავების მოლეკულური მასები.....	9
1.3. ფულვომჟავების სტრუქტურული ფორმულები.....	11
1.4. ფულვომჟავების კომპლექსწარმოქმნელი ცენტრები და ფულვატების მდგრადობის მუდმივები.....	14
1.5. სეფადექსები.	19
თავი II. ექსპერიმენტული ნაწილი.....	21
2.1. ბუნებრივი წყლებიდან ფულვომჟავების დაკონცენტრირების და გამოყოფის მეთოდიკები	21
2.2. ფულვომჟავების პოტენციომეტრული გატიტვრის და სეფადექს G-25 დაკალიბრების მეთოდიკები.	23
2.3. ხსნადობის და გელფიტრაციული მეთოდები	24
თავი III . შედეგები და განსჯა.....	26
3.1. ფულვომჟავების ელემენტური შედგენილობა და დისოციაციის მუდმივები.....	26
3.2. Co(II) ,Ni (II) ,Cu(II), Zn (II), და Cd (II)-ის ფულვატური კომპლექსების შედგენილობა და მდგრადობის მუდმივები.....	31
3.2.1 ფულვატური კომპლექსების შედგენილობის და მდგრადობის მუდმივების დადგენა ხსნადობის მეთოდით	31
3.2.2. ფულვომჟავებთან, მძიმე მეტალების კომპლექსწარმოქმნის შესწავლა გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდით.....	56
დასკვნები.....	95
გამოყენებული ლიტერატურა.....	96

შესავალი

აქტუალობა. ბუნებრივი მაკრომოლეკულური ნივთიერებები, ფულვომჟავები, აქტიურად მონაწილეობს ბუნებრივ წყლებში, ფსკერულ ნალექებსა და ნიადაგებში მიმდინარე კომპლექსწარმოქმნის და სორბციულ პროცესებში . ფულვომჟავები იძლევა მდგრად კომპლექსებს, როგორც მძიმე მეტალებთან, ასევე რადიონუკლიდებთან და განაპირობებს ბუნებრივ ობიექტებში ელემენტთა მიგრაციის ფორმებს .

მონაცემები ფულვომჟავების კომპლექსების მდგრადობის მუდმივების შესახებ რამდენიმე რიგით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ასეთი მდგომარეობა, ძირითადად განპირობებულია კომპლექსწარმოქმნის პროცესში , pH-ის მნიშვნელობების მიხედვით, ფულვომჟავების ასოციაციების საშუალო მოლეკულური მასების ცვლილებების გაუთვალისწინებლობით, რასაც საბოლოოდ არასწორ შედეგებამდე მივყავართ. ამის გამო შეუძლებელი ხდება ბუნებრივ წყლებში ტოქსიკური მძიმე მეტალების არსებობის ფორმების კორექტული გათვლა , წყალსაცავების ეკოქიმიური მდგომარეობის ობიექტური შეფასება და პროგნოზირება.

მიზანი და ამოცანები. ჩვენს მიზანს შეადგენდა: ბუნებრივი წყლებიდან ფულვომჟავების გამოყოფა და სუფთა ნიმუშების მიღება; მათი ელემენტური შედგენილობის და მჟავური დისოციაციის მუდმივების განსაზღვრა; pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობებზე (5.0, 6.0, 7.0, 8.0, 9.0), ხსნადობის და გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით , Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) და Cd (II) ფულვატური კომპლექსების შედგენილობების და პირობითი მდგრადობის მუდმივების დადგენა და მათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების გამოვლენა. **სამუშაოს მეცნიერული ღირებულება, სიახლე და პრაქტიკული გამოყენება.**

ხსნადობის და გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით, pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობებზე, შესწავლილია Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) და Cd (II) კომპლექსწარმოქმნის პროცესები ბუნებრივ მაკრომოლეკულურ ორგანულ ნივთიერებებთან, ფულვომჟავებთან .

მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად, დადგენილია ფულვომჟავების „აქტიური ასოციაციების“ საშუალო მოლეკულური მასები და მათი შესაბამისი ფულვატური კომპლექსების პირობითი მდგრადობის მუდმივების მნიშვნელობები.

ნაჩვენებია , რომ რაც უფრო ძლიერი კომპლექსწარმოქმნელია მეტალი, მით უფრო დიდ გავლენას ახდენს “აქტიური ასოციაციების“ საშუალო მოლეკულური მასების ცვლილება ფულვატური კომპლექსის მუდმივას მნიშვნელობაზე.

დადგენილია , რომ ფულვატების მდგრადობის მუდმივების გათვლისას ოპტიმალურია ფულვომჟავების „ოლიგომერის“ საშუალო მოლეკულური მასის გამოყენება, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი მეტალის შემთხვევაში შესაძლებელია თავისუფალი ლიგანდის კონცენტრაციების და შესაბამისად მდგრადობის მუდმივების კორექტული გათვლები.

შესწავლილია ფულვომჟავების მოლეკულურ-მასური განაწილება სეფადექს G-25 -ზე, pH-ის მიხედვით. დადგენილია რომ გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდით ფულვომჟავებთან კომპლექსწარმოქმნის შესწავლა ოპტიმალურია $pH \geq 5$ -ზე, რადგან

pH-ის უფრო დაბალ მნიშვნელობებზე, G-25-ის საშუალებით, კომპლექსში მყოფი და თავისუფალი მეტალის რაოდენობრივი დაცილება და განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ხსნადობის და გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდებით მიღებული მონაცემების, ლედენის მეთოდით დამუშავების შედეგად, ბუნებრივი წყლებისთვის დამახასიათებელი pH-ის ფართო ზღვრებში, დადგენილია Co (II), Ni(II), Cu(II),Zn(II) და Cd (II) ფულვატური კომპლექსების შედგენილობები და პირობითი მდგრადობის მუდმივების მნიშვნელობები. ნაჩვენებია, რომ ფულვატური კომპლექსებისთვის დამახასიათებელია შემდეგი კანონზომიერებები: $\beta(\text{pH}9) > \beta(\text{pH}8) > \beta(\text{pH}7) > \beta(\text{pH}6) > \beta(\text{pH}5)$ და pH-ის ნებისმიერ მნიშვნელობაზე $\beta(\text{Cu}) > \beta(\text{Ni}) > \beta(\text{Zn}) \geq \beta(\text{Co}) > \beta(\text{Cd})$.

ჩატარებული კვლევები ფუნდამენტური ხასიათისაა და გააჩნია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ღირებულებები. მიღებული შედეგები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული, ნებისმიერი კლასის და ტიპის ბუნებრივი წყლებში მძიმე მეტალების მიგრაციის ფორმების გასათვლელად და წყალსაცავების ეკოლოგიური მდგომარეობის პროგნოზირებისათვის.

სამეცნიერო პუბლიკაციები. დისერტაციის მასალები გამოქვეყნებულია 5სამეცნიერო სტატიის (ერთი ტომსონის ბაზაში შესულ, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, ერთი სამეცნიერო კრებულში, ორი საერთაშორისო და ერთი ადგილობრივ რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალში) და 5 საერთაშორისო კონფერენციების თეზისების სახით.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი დაბეჭდილია 106 გვერდზე, შედგება შესავლისგან, სამი თავისაგან (ლიტერატურის მიმოხილვა, ექსპერიმენტული ნაწილი, შედეგები და მათი განსჯა), დასკვნებისაგან და 140 ციტირებული ლიტერატურის ნუსხისაგან. შეიცავს 55 ცხრილს და 58 ნახაზს.

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, ქიმიის დეპარტამენტის, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულებაზე, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდის, CRDF –Global (USA), World Federation of Scientists (Geneva) და IWA (UK) დაფინანსებით და მხარდაჭერით.

თავი I.ლიტერატურის მიმოხილვა.

1.1. ელემენტური შედგენილობა და ფუნქციური ჯგუფები

ფულვომჟავები ბუნებრივ ობიექტებში აღმოჩენილი ერთ-ერთი პირველი ორგანული ნივთიერებებია. ბერცელიუსმა მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში, წყაროს წყლიდან და მისი დანალექიდან, ნატრიუმის ტუტის საშუალებით, გამოყო მუქი ფერის მჟავური ბუნების ორგანული ნივთიერებები და მათ შესაბამისად კრენის და აპოკრენის მჟავები უწოდა [1]. მოგვიანებით ოდენმა [2] ეს ნაერთები მათი განზავებული ხსნარების დამახასიათებელი მოოქროსფერო ყვითელი ფერის გამო ფულვომჟავების სახელწოდების ქვეშ გააერთიანა (fulvius - ლათინურად ოქროსფერი). თავდაპირველად ეს ტერმინი მჟავაში ხსნადი ყველა ბუნებრივი ორგანული ნივთიერების სახელწოდებისათვის გამოიყენებოდა, რომლებიც ხსნარში რჩებოდნენ ნიადაგის ტუტე ექსტრაქტის შემჟავებისას. დღეისათვის ამ ტერმინს ქვეშ იგულისხმებიან ის ნივთიერებები რომლებიც მჟავაში ხსნადებია და სხვა ორგანული ნივთიერებებიდან მათი დაცილება ხდება გააქტივებულ ნახშირზე ან სხვა სორბენტზე ფრაქციონირებისას [3].

ფულვომჟავების მოლეკულური სტრუქტურა რთულია. ამიტომ, მათი შესწავლისას ძირითადად შემოსაზღვრებიან სხვადასხვა ობიექტებიდან გამოყოფილი ნიმუშების ელემენტურ შედგენილობის, მჟავურ-ფუძური თვისებების, მოლეკულურ-მასური განაწილების და ფუნქციური ჯგუფების დადგენით. მრავალრიცხოვანი გამოკვლევის მიუხედავად, მონაცემები ფულვომჟავების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების შესახებ არაერთგვაროვანია.

ელემენტური ანალიზის შედეგების მიხედვით ნახშირბადის შემცველობა ფულვომჟავებში იცვლება 28,1-დან 59,7 %-მდე, წყალბადის - 0,4-დან 8,9 %-მდე, აზოტის - 0,3-დან 8,2 %-მდე, გოგირდის - 0,1-დან 4,3 %-მდე და ჟანგბადის - 35-დან 58 %-მდე (ცხრ. 1).

ცხრილი 1

სხვადასხვა ბუნებრივი ობიექტიდან გამოყოფილი ფულვომჟავების ელემენტური შედგენილობა [3-5]

ბუნებრივი ობიექტი	ელემენტები.%-ში				
	C	H	N	O	S
ნიადაგი	35-75	3.2-7.0	0.4-5.9	17-56	0.1-3.6
ტორფი	47-61	4.2-7.2	1.2-2.6	31-44	0.2-1.9
მდინარეები	28-60	0.4-8.9	0.3-8.2	35-58	0.1-4.3
ზღვა	38-50	4.3-6.8	1.0-6.8	37-55	0.6-2.1
ფსკ.ნალექები	48-54	4.2-5.2	1.7-2.8	38-45	-

ფულვომჟავების სტანდარტიზირებული ნიმუშის ელემენტური შედგენილობაა (%-ში) : C 53.75, H-4.29, O-40.48, N-0.68, S-0.50, P-0.01, ნაცრიანობა 0.82 [6]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფულვომჟავების იდენტიფიკაცია მხოლოდ ერთი ან ორი მაჩვენებლით შეუძლებელია. მისი იდენტიფიკაციისათვის, ასევე საჭიროა მონაცემები მჟავურ-ფუძური თვისებების შესახებ, მოლეკულურ-მასური განაწილება და სხვ. მდგომარეობა გართულდა მას შემდეგ, რაც დაიწყო მისი გამოყენება მედიცინაში (სხივური და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ) სოფლის მეურნეობაში (მცენარების ზრდის სტიმულატორი) და კოსმეტიკაში [6]. გაჩნდა ე.წ. კომერციული ჰუმუსური მჟავები, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ არც ჰუმინის და არც ფულვომჟავებთან. ამიტომ ყველაზე მართებულია კვლევებისათვის თავად მივიღოთ ფულვომჟავების სუფთა ნიმუშები.

ფულვომჟავებში აღმოჩენილია რამდენიმე ათეული, სხვადასხვა ტიპის ჟანგბად-, აზოტ- და გოგირდშემცველი ჯგუფები [3,6–20] : ფენოლური და სპირტული ჰიდროქსილები, კარბოქსილური, კარბონილური, ამინო, , სულფო და სხვა ჯგუფები.. თუ მხედველობაში მივირებთ ჟანგბადის , აზოტის და გოგირდის ფარდობით შემცველობებს, ლოგიკურია ვივარაუდოდ, რომ ჟანგბადშემცველი ჯგუფები ბევრად აღემატებიან აზოტის და გოგირდის შემცველ ჯგუფებს.

კარბოქსილის და ფენოლის ჯგუფები, ფულვომჟავების ძირითად კომპლექსწარმომქნელ ცენტრებს წარმოადგენენ. რაც შეეხება სპირტულ OH ჯგუფებს, მათ მძიმე მეტალების და რადიონუკლიდების მიმართ იმდენად უმნიშვნელო რეაქციისუნარიანობა ახასიათებთ , რომ შეგვიძლია მხედველობაში არც კი მივიღოთ.

კარბოქსილური ჯგუფების შემცველობა ფულვომჟავებში 1.0-დან 7.5 მმოლ.ექვ/გ-მდე, ხოლო ფენოლური ჰიდროქსილის – 0.2-დან 9.5 მმოლ.ექვ/გ-მდე იცვლება [3,7,21, 22].

განსხვავებული მონაცემებია ფულვომჟავების ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებლის, დისოციაციის მუდმივების შესახებაც $pK_{H,COOH} = 1.6 \div 7.0$, $pK_{H,Ph-OH} = 9.0 \div 10.5$ [3.23.25–30] . ასეთი განსხვავებული მონაცემების გამო, განსაკუთრებით ეს ეხება $pK_{H,COOH}$ შეუძლებელი ხდება სხვადასხვა pH-ზე ფულვომჟავების იონიზაციის ხარისხის და ფულვატური კომპლექსების მდგრადობის მუდმივების კორექტული გათვლა.

1.2 ფულვომჟავების მოლეკულური მასები

ფულვომჟავების მოლეკულური მასების შესწავლის მიზნით გამოყენებული ანალიზის ფიზიკური მეთოდების სპექტრი საკმაოდ ფართო: ულტრაცენტრიფუგირება, ულტრაფილტრაცია, ვისკოზომეტრია, ოსმომეტრია, კრიოსკოპია, გელ-ქრომატოგრაფია, მასსპექტრომეტრია. ფულვომჟავების საშუალო მოლეკულური მასა, სხვადასხვა ავტორის მონაცემებით , 170 –დან 300 000 დალტონამდე იცვლება [3,7,24.28,31–51] . ასეთი არაერთგვაროვანი შედეგების მიღების მიზეზი, გამოყენებული მეთოდები მიხედვით, სხვადასხვაა. მაგ. ის მეთოდები რომლებიც პოლიმერის კოლიგატური თვისებების გაზომვაზეა დაფუძნებული (ოსმომეტრია, კრიოსკოპია, ებულიოსკოპია) განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან საანალიზო ნიმუშის დაბალმოლეკულური მინარევების მიმართ . მცირე მინარევიც კი საგრძნობლად ამცირებს M_n და პრაქტიკულად მხოლოდ უნაცრო ნიმუშებისთვის გამოიყენებიან [49]. ულტრაფილტრაციის მეთოდის გამოყენებისას, არასწორი შედეგის მიღების მიზეზი, ფულვომჟავების მემბრანასთან ურთიერთქმედებაა [50].

წყალხსნარებში, ფულვომჟავების მოლეკულურ-მასური განაწილების შესასწავლად ეფექტურია გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდი [31–33,51]. ამ დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ სუსტ მჟავა გარემოში ადგილი აქვს შეკავებას, რაც ფულვომჟავების გელზე სორბციით შეიძლება აიხსნას.

გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდით მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციისას, ამ ეფექტის გატვალისწინებლობის გამო, შეიძლება აბსურდულ შედეგამდეც კი მივიდეთ. მაგ [51]–ის მიხედვით შავმიწა ნიადაგიდან გამოყოფილ ფულვომჟავებში დომინირებული ფრაქციის საშუალო მოლეკულური მასა 170 დალტონია. ამ დროს, მართო ფტალის მჟავას ფრაგმენტის მასა, რომელიც ფულვომჟავების შემადგენელი ნაწილია, 160 დალტონია. ყველაზე უფრო უმარტივესი ფორმულის შემთხვევაშიც კი, ფულვომჟავების მოლეკულური მასა არ შეიძლება 380–ზე ნაკლები იყოს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ფულვომჟავების მოლეკულურ მასებზე მსჯელობისას ავტორები ხშირად სხვადასხვა ცნებებით აპელირებენ

1. საშუალო რიცხვითი მოლეკულური მასა $M_n = \sum n_i M_i / \sum n_i$, სადაც n_i მოლეკულების რიცხვი, M_i მოლეკულური მასა. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ფულვომჟავების მოლეკულური მასების განსაზღვრა ხდება კოლიგატური თვისების (გაყინვის წერტილის ან ოსმოსური წნევის ცვლილება და სხვ.) გაზომვაზე დაფუძნებული მეთოდებით.

2. M_v – საშუალო ბლანტური მოლეკულური მასა, გამოიყენება ვისკოზომეტრიაში.

3. M_w – საშუალო მასური მოლეკულური მასა $M_w = \sum n_i M_i^2 / \sum n_i M_i$

4. M_z – საშუალო მოლეკულური მასა, გამოიყენება ულტრაცენტრიფუგირების შემთხვევაში $M_z = \sum n_i M_i^3 / \sum n_i M_i^2$

ცხადია, რომ $M_z > M_w > M_n$. ფარდობას M_w/M_n ფულვომჟავების პოლიდისპერსულობის ხარისხის დასადგენად იყენებენ. სხვაობა M_w და M_n შორის მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტია დაბალმოლეკულური ფრაქციის წილი.

ვარშალი [31–33], ფუნდამენტური გამოკვლევის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წყალხსნარებში, წყალბადური ბმების ხარჯზე, ფულვომჟავები ასოციატებს წარმოქმნიან. ასოციატების საშუალო მოლეკულური მასების მნიშვნელობები დამოკიდებულია ხსნარის pH-ის სიდიდეზე. pH-ის გაზრდისას, ფულვომჟავების საშუალო მოლეკულური მასებიც იზრდება. ეს დამოკიდებულება pH5-დან 11-მდე, სწორხაზოვანია და გამოისახება ფორმულით

:

$$M_w = 1350 \text{ pH} - 4540$$

[52] -ის მიხედვით, ფულვომჟავების მაკრომოლეკულას გორგლის სახე აქვს. მისი გაშლის ხარისხი და შესაბამისად მოლეკულის ზომა დამოკიდებულია ხსნარში ფულვომჟავების კონცენტრაციაზე და pH -ზე. წყალბადიონების კონცენტრაციის შემცირებისას, გორგლის გაშლის ხარისხი იზრდება. ეს ჰიპოთეზა ექსპერიმენტით არ დასტურდება.

[53,54] -ის მიხედვით, ფულვომჟავების მოლეკულები სუსტ მჟავა გარემოში (pH = 2) ე. წ. `ხისტი სფეროკოლოიდების სახით არიან წარმოდგენი. ისინი საშუალოდ ოთხ–ოთხი, სპირალისებურად დახვეული მოლეკულებისაგან შედგება, ანუ


ფაქტობრივად ფულვომჟავების ასოცირებულ ფორმებს წარმოადგენს. ასოციატების საშუალო მოლეკულური მასა, იონური ძალის ფართო დიაპაზონში (0,001–0.1) პრაქტიკულად არ იცვლება, რასაც ვერ ვიტყვით pH -ის გავლენაზე. pH -ის გაზრდით საშუალო რიცხვითი მოლეკულური მასა (Mn) მცირდება: pH 2-ზე ტოლია 4270-ის, pH 3.5-ზე = 1180-ის და pH 6.5-ზე = 1020-ის. Mn-ის ასეთი ცვლილება იმაზე მიუთითებს, რომ ასოციაციის მოვლენა, რომელიც ხორციელდება წყალბადური ბმების ხარჯზე, უფრო გამოხატულია pH =2-ზე, ვიდრე pH 6.5-ზე. რაც უფრო მეტია ასოციაციის ხარისხი, მით უფრო დახვეულია მაკრომოლეკულა [53,54].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა რომ ასოციატების წარმოქმნა ეჭვს არ იწვევს, ასოციატების წარმოქმნის მექანიზმები დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.


1.3 ფულვომჟავების სტრუქტურული ფორმულები

მიუხედავად იმისა, რომ მეტ-ნაკლებად ცნობილია ფულვომჟავების ელემენტური შედგენილობა, საშუალო მოლეკულური მასა, დადგენილია მასში შემავალი ცალკეული სტრუქტურული ფრაგმენტები, შესწავლილია ფუნქციური ჯგუფების ბუნება, არ არის ერთიანი აზრი ფულვომჟავების სტრუქტურული ფორმულის შესახებ.


დღეისათვის ფულვომჟავებში აღმოჩენილია რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის ჟანგბად-, აზოტ, და გოგირდშემცველი ჯგუფები: ფენოლური და სპირტული ჰიდროქსილები, კარბოქსილური-, კარბონილური-, ამინო-, და სულფო ჯგუფები, რთული ეთერები, თავისუფალი რადიკალები და ა.შ . ფულვომჟავებში აღმოჩენილი ჯგუფების მიხედვით ,მოწოდებულია მისი სტრუქტურული ფორმულების სხვადასხვა ვარიანტი [13,55-62]. სტრუქტურული ფორმულის ზოგერთი ნიმუშები მოცემულია ქვემოთ:




[56]




[57]



[58]



[57]




[62]

მიუხედავად იმისა, რომ ფულვომჟავების სტრუქტურული ფორმულების ავტორები აპელირებენ ანალიზის ისეთი მძლავრი მეთოდებით, როგორცაა ეპრ, რენტგენოსტრუქტურული ანალიზი და ზმრ სპექტროსკოპია, განხილული მოდელების კრიტიკული ანალიზი და ერთმანეთთან შედარება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ დღეისათვის მკვლევარები უმეტესად შემოისაზღვრებიან კომპლექსწარმომქნელი ცენტრების დაფიქსირებით.


1.4. ფულვომჟავების კომპლექსწარმომქნელი ცენტრები და ფულვატების მდგრადობის მუდმივები

გააჩნიათ რა კომპლექსწარმომქნელი ცენტრები, ფულვომჟავები აქტიურ მონაწილეობას დებულობენ ბუნებრივ წყლებსა, ფსკერულ ნალექებსა და ნიადაგებში მიმდინარე კომპლექსწარმოქმნის და სორბციულ პროცესებში, წარმოქმნიან მდგრად ნაერთებს როგორც მეტალებთან ასევე რადიონუკლიდებთან [3,32,56,59,63-90,97-106] და განაპირობებენ მათ მიგრაციის ფორმებს ბუნებრივ ობიექტებში [3,32, 62, 63, 80, 93-97, 109-113]. ფულვომჟავების კონცენტრაცია წყლებში რამდენიმე ათეული მკგ/ლ-დან 100 მგ/ლ-მდე იცვლება , ფსკერულ ნალექებში 0.24%- დან 1.00 % -მდე [3,42,63]. ნიადაგებში, ტიპების და კლიმატის მიხედვით, მთელი ორგანული ნივთიერებების 20-80 % ფულვომჟავებია [1].


ფულვომჟავებში ძირითად კომპლექსწარმომქნელ ცენტრებად სალიცილის და ფტალის მჟავების ფრაგმენტები გვევლინებიან[59,70.73.75.81]:




გამორიცხული არაა კომპლექსწარმოქმნაში ფულვომჟავების, აზოტის და გოგირდის შემცველი ჯგუფების მონაწილეობაც [59] :



[64] მიხედვით. მეტალთა იონებს წყალხსნარებში შეუძლიათ შეასრულონ იმ მოლეკულათშორისი ხიდის როლიც, რომლის საშუალებითაც ფულვომჟავების მოლეკულები ერთმანეთს უკავშირდებიან :






მეტალის კონცენტრაციის სიჭარბისას, მდგრადი ტეტრაედრული კომპლექსი შეიძლება ბიდენტატურში გადავიდეს[65]



დისკუსია იმის შესახებ, უპირატესად კარბოქსილის ჯგუფები მონაწილეობენ კომპლექსწარმოქმნაში თუ ფენოლის ჰიდროქსილები, დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. ეს საკითხი არაა გადაწყვეტილი ფულვომჟავების ისეთ უმარტივეს ანალოგებშიც კი, როგორცაა სალიცილის მჟავა. კომპლექსწარმოქმნაში კარბოქსილური თუ ფენოლური ჰიდროქსილის ჯგუფების მონაწილეობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, პირველ რიგში კი pH-ის მნიშვნელობასა და

მეტალის ბუნებაზე [78]. ქვემოთ მოცემულია ფულვატური კომპლექსების სავარაუდო ფორმულები[59]:





აღსანიშნავია, რომ ფულვატური კომპლექსების მდგრადობის მუდმივები (ცხრ. 2) ერთი და იგივე მეტალის ფულვატებისთვისაც კი რამდენიმე რიგით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან , რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მათ გამოყენებას.

ცხრილი 2

ფულვატების მდგრადობის მუდმივები

ელემენტი	pH	მეთოდი	lgβ	ლიტ
1	2	3	4	5
Co(II)	3.0	იონგაცვლა	2.8	[73]
	3.5	„-“	2.2	[74]
	5.0	“ - ”	3.7	[74]
	5.0	“ - ”	4.1	[73]
	7.0	“ - ”	3.2	[77]
	8.0	გელ-ქრომატოგრაფია	4.9	[66]
	3.0	იონგაცვლა	3.2	[73]

Ni(II)	3.5	“ _ ”	3.5	[74]
	5.0	“ _ ”	4.2	[73]
	4-8	“ _ ”	7.1	[68]
	8.0	გელ-ქრომატოგრაფია	5.2	[66]
Cu(II)	3.0	იონგაცვლა	3.3	[73]
	3.0	იონომეტრია	3.2	[74]
	3.0	იონგაცვლა	2.2	[70]
	3.3	“ _ ”	3.8	[75]
	4.0	იონომეტრია	3.7	[71]
	3-5	იონგაცვლა	3.7-4.6	[62]
	5.0	“ _ ”	4.0	[73]
	5.0	იონომეტრია	4,3	[71]
	6.0	“ _ ”	4.1-5.6	[72]
	8.0	გელ-ქრომატოგრაფია	8,4-9.3	[66]
	8.0	“ _ ”	5.6-7.4	[69]
	8.0	ხსნადობა	6,3	[3]
	7-8	ეპრ	10-13	[3]
Zn(II)	3.0	იონგაცვლა	2.2	[73]
	3-5	“ _ ”	3.3-4.3	[62]
	3.4- 6.5	“ _ ”	6.2	[77]
	5.0	“ _ ”	3.6	[73]
	8.0	გელ-ქრომატოგრაფია	4.7-6.4	[69]
	8.0	“ _ ”	6.2	[66]
	8.0	ხსნადობა	6.1	[97]

Cd(II)	4.9	იონომეტრია	3.0	[71]
	3-5	იონგაცვლა	2.9-3.8	[62]
	6.0	იონომეტრია	3.6	[71]
	8.0	გელ-ქრომატოგრაფია	4.7	[66]
	4.9	იონომეტრია	3.0	[71]

მძიმე მეტალებთან, ფულვომჟავების კომპლექსწარმოქმნის შესასწავლად გამოყენებული მეთოდების სპექტრი, საკმაოდ მრავალფეროვანია: ხსნადობის მეთოდი, იონომეტრია, ეპრ, გელ-ქრომატოგრაფია, სპექტროფოტომეტრია, იონგაცვლა, პოტენციომეტრული გატიტვრა და სხვ.

ყველა ამ მეთოდს გააჩნია თავის უპირატესობა და შეზღუდვა. მაგ.. გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდის გამოყენებისას ხდება თავისუფალი მეტალის იონის ადსორბცია უძრავ ფაზაზე. იონგაცვლისას, იონიტებზე თავად ფულვომჟავების ადსორბირდებიან, ულტრაფილტრაციის დროს ასევე ადგილი აქვს ლიგანდის მემბრანაზე ადსორბციას. პოტენციომეტრით შესწავლისას აუცილებელი ხდება მეტალების მაღალ კონცენტრაციებთან მუშაობა $\gg 10^{-4}$ M, რაც თავის მხრივ პოლიბირთვული ჰიდროქსოკომპლექსების წარმოქმნის და ჰიდროლიზის წინაპირობაა, პოლაროგრაფიის და იონომეტრიის გამოყენებისას მთავარი პრობლემა, ფულვომჟავების ელექტროდებზე ადსორბციაა, ხსნადობის მეთოდის დროს კი დიდი მნიშვნელობა აქვს მყარი ფაზის სწორედ შერჩევას. ის დროში მდგრადობით და მცირედ ხსნადობით უნდა ხასიათდებოდეს.

ამრიგად მეტალების ფულვომჟავებთან კომპლექსწარმოქმნის შესწავლის ექსპერიმენტალური მეთოდის არჩევა, სამუშაოს მიზნის და შერჩეული მეთოდის შეზღუდულობას შორის კომპრომისის შედეგია. განხილული მეთოდებიდან ფულვატური კომპლექსების შესწავლისათვის, კერძოდ მათი შედგენილობის და მდგრადობის მუდმივების დადგენისათვის ყველაზე ოპტიმალურია ხსნადობის და გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენება. ხსნადობის მეთოდის გამოყენებისას, მყარი ფაზის სწორად შერჩევის შემთხვევაში, პრაქტიკულად გამორიცხულია პოლიბირთვული ჰიდროლიზი, ხოლო გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდით, ზუსტად დგინდება ის ფრაქციები, სადაც მოსალოდნელია ფულვატური კომპლექსების არსებობა.

1.5.სეფადექსები. 1959წ. ფლოდინმა და პორატმა დექსტრანის ბაზაზე მიიღეს უნივერსალური გელი, რომელიც გაყიდვაში გამოჩნდა სეფადექსის სახელწოდებით [114]. სეფადექსების გამოყენება საფუძვლად დაედო მოლეკულური მასების მიხედვით დაცილების ქრომატოგრაფიულ მეთოდს, რომელიც გელ-ქრომატოგრაფიის (გელფილტრაციის) სახელწოდებითაა ცნობილი.

სეფადექსები წამოადგენს მაღალმოლეკულური პოლისაქარიდ-დექსტრანისაგან მიღებულ გელებს . დექსტრანი ბაქტერია *Leuconostoc mesenteroides*-დან , საქაროზას გარემოში გამოყვანისას წარმოიქმნება. ჰიდროქსილური ჯგუფების მაღალი შემცველობის გამო დექსტრანი ძალიან ჰიდროფილურია. დექსტრანსა და ეპიქლორჰიდრინს შორის რეაქციით მიიღება სეფადექსები.

სეფადექსში ჰიდროქსილის ჯგუფების რაოდენობა განსაზღვრავს წყლისადმი მათ სწრაფვას , ანუ მის გაჯირჯვების ხარისხს, რაც სეფადექსის ნომენკლატურის მაჩვენებელია. რაც უფრო ნაკლებია გაჯირჯვების ხარისხი, მით ნაკლებია სეფადექსის გრანულებში ფორების ზომა. წარმოებაში გამოშვებულია სეფადექსების 8 ტიპი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან გაჯირჯვების ხარისხით და მოლეკულების ფრაქციონირების უნარით. რაც უფრო მაღალია გაჯირჯვების ხარისხი , მით უფრო ნაკლებად მკვრივია გელი ანუ მით უფრო თხელია . სეფადექსები მდგრადებია ტუტე და სუსტ მჟავა გარემოშიც (pH 2მდე) [114]. დიდი ხნის შენახვისას გელში შეიძლება წარმოიქმნან მიკროორგანიზმები. ამ დროს ის მწვანდება და გამოსაყენებლად უვარგისი ხდება.

გელის სვეტის საერთო მოცულობა, $V_t = V_0 + V_i + V_g$ სადაც V_0 –სვეტის გრანულებს შორის მოცულობაა, (გარე მოცულობა, , თავისუფალი მოცულობა), რომელიც ექსპერიმენტულად ადვილად ისაზღვრება მაღალმოლეკულური ნივთიერების საშუალებით. V_i - შიგა მოცულობაა, V_g –გელის მოცულობა.

გელის სვეტის საერთო მოცულობა, სვეტის საწყისი წერტილიდან , საბოლოო წერტილამდე არსებული მოცულობის გაზომვით დგინდება.

გამოსაკვლევ ნივთიერებასა და სეფადექსს შორის ურთიერთქმედებას საფუძვლად უდევს დიფუზია. ნივთიერებები , რომელთა მოლეკულების ზომები გელის ფორებზე ნაკლებია, თავისუფლად დიფუნდირებიან მასში. გელიდან, ნარევის კომპონენტები ელუირდებიან მოლეკულური მასის შემცირების რიგით.

მოცემული სვეტიდან კონკრეტული ნივთიერება ყოველთვის ერთსა და იმავე მოცულობაში (V_e) ელუირდება . ანუ V_e არის ელუატის ის მოცულობა, რომელიც გროვდება სეფადექსზე ნივთიერების დატანის დროიდან, ნივთიერების ელუირებამდე.

დატანილი ნივთიერების მასასა და V_e ვე–ს შორის დამოკიდებულება გამოსახება ტოლობით: $V_e = \text{const} \lg M$. თუ const მივიღებთ თავისუფალ მოცულობას, რომელიც მოცემული სვეტისათვის პრაქტიკულად მუდმივია, შეგვიძლია დავწეროთ: $V_e / V_i = \lg M$, ეს ტოლობა საშუალებას გვაძლევს გამოვთვალოთ ნებისმიერი ფრაქციის საშუალო მოლეკულური მასა .

თავი II. ექსპერიმენტული ნაწილი

2.1. ბუნებრივი წყლებიდან ფულვომჟავების დაკონცენტრირების და გამოყოფის მეთოდები

ტერმინი ფულვომჟავები, თითქმის 100 წლის განმავლობაში გამოიყენებოდა, ორგანული ნივთიერებების იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც ხსნარში რჩებოდა, ნიადაგების ტუტე ექსტრაქტიდან, ჰუმინის მჟავების დალექვის შემდეგ. მოგვიანებით, როდესაც დადგინდა, რომ ასეთი ხსნარი შეიცავდა ინდივიდუალური თვისების მქონე სხვა ორგანულ ნაერთებსაც: კარბომჟავებს, ამინომჟავებს, პოლიფენოლებს, ნახშირწყლებს და ა.შ. საჭირო გახდა მათგან ფულვომჟავების დაცილების სელექტიური მეთოდის დამუშავება.

ამ მიზნით, ფორსიტის მიერ [115] შემუშავდა ადსორბციულ-ქრომატოგრაფიული მეთოდი, ადსორბენტი-გააქტიურებული ნახშირი. ელუენტები აცეტონი და ტუტე. ფორსიტის მეთოდი, საფუძვლად დაედო სხვადასხვა ობიექტიდან ფულვომჟავების გამოყოფის და სუფთა ნიმუშების მიღების მეთოდებს [1, 3, 63]. ფულვომჟავების გამოსაყოფად, არცთუ იშვიათად იყენებენ XAD-ის ტიპის იონიტებს. ამ ადსორბენტების ძირითადი ნაკლი ტუტით დამუშავებისას პოლიმერული მატრიცის კომპონენტების გამორეცხვაა. გარდა ამისა, იონიტიდან ფულვომჟავების ტუტით დესორბციისას ხდება XAD -ზე ადსორბირებული პოლიფენოლების, ცხიმოვანი მჟავების, ცილოვანი ნაერთების და ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების გამოყოფაც [116]. ნათქვამიდან ცხადია რომ მათი საშუალებით შეუძლებელია ფულვომჟავების სუფთა ნიმუშების მიღება. ამ თვალსაზრისით ის კონკურენციას ვერ უწევს ერთ-ერთ სრულყოფილ, თუმცა შრომატევად ფორსიტის მეთოდს, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ, ფულვომჟავების სუფთა ნიმუშების მისაღებად

გააქტიურებული ნახშირის გასუფთავება. ფთოროპლასტის 200 მლ-იან ჯამში ვათავსებდით გააქტივებულ ნახშირს (BAY-რუსეთი). ვუმატებდით ფტორმჟავას კონცენტრირებულ ხსნარს და ვაშრობდით წყლის აბაზანაზე. ამ ოპერაციას ვიმეორებდით 2-ჯერ. მშრალ ნახშირს, HF-ის მოსაცილებლად ვუმატებდით 1M მარილმჟავას და ისევ ვაშრობდით. ამ პროცედურასაც ვიმეორებდით ორჯერ. შემდეგ გააქტივებულ ნახშირს ვრეცხავდით ბიდისტილატით მჟავე რეაქციის მოცილებამდე.

წყლის ნიმუშების კონცენტრირება. გაფილტრული წყლის ნიმუშებიდან (მდ მტკვარი ვარძიაში, ფარავნის ტბა) ორგანული ნივთიერებების დაკონცენტრირებისათვის ვიყენებდით გამოყინვის ან თანდალექვის მეთოდებს [3].

გამოყინვით კონცენტრირებასას, სინჯს ვამჟავებდით pH=2-მდე და ვათავსებდით 20 სმ დიამეტრისა და 20 სმ სიმაღლის ცილინდრულ ჭურჭელში. თერმოიზოლაციის მიზნით ჭურჭელს ვათავსებდით ჩაღრმავების მქონე ფენოპლასტის სადგამზე და ვათავსებდით მაცივარში, საყინულე კამერის ქვემოთ. პერიოდულად ვაცილებდით ყინულის ზედა ფენას და ვუმატებდით წყლის ახალ ულუფას. ყინულის ფენის საბოლოო მოცილების შემდეგ შესაძლებელია წყლის ისეთი სინჯის მიღება, რომლის კონცენტრაციის ხარისხი $K=20$.

თანდალექვის მეთოდის გამოყენებისას, ვიღებდით 10-10 ლიტრ წყალს. ერთ ნაწილში ვხსნიდით კალციუმის ქლორიდს, მეორე ნაწილში კი- ნატრიუმის

კარბონატს . კალციუმის ქლორიდის და ნატრიუმის კარბონატის კონცენტრაციები , შესაბამისად 0.45 და 0.40 მოლ/ლ-ის ტოლი იყო. ორივე ნაწილის შერევისას , ახალ წარმოქმნილ კალციუმის კარბონატის ნალექთან ერთად, წყალში გახსნილი ყველა ორგანული ნივთიერების თანდალექვა ხდება. ხსნარს ვაყოვნებით, სიფონირებით ვაცილებდით თხევად ფაზას და CaCO_3 -ის ნალექს ვხსნიდით განზავებულ HCl -ში(1:1). კონცენტრირების ეს მეთოდი ოპტიმალურია ბუნებრივ წყლებში ფულვომჟავების განსაზღვრის ან სწრაფი კონცენტრირების საჭიროების დროს.

ფულვომჟავების ფრაქციის მიღება. კონცენტრატებს ვამჟავებდით $\text{pH}2$ -მდე და ჰუმინის მჟავების კოაგულაციისთვის, 2 საათის განმავლობაში წყლის აბაზანაზე ვაცხელებდით. ხსნარს ვაცენტრიფუგირებდით. ცენტრუფუგატს ვატარებდით გააქტიურებული ნახშირის სვეტზე ($v=1\text{მლ/წთ}$, $d=2\text{სმ}$. $l=60\text{ სმ}$) ,შეფერილი ხსნარის გამოჩენამდე. ამინომჟავების და კარბომჟავების სორბცია ამ დროს პრაქტიკულად არ ხდება. მაგრამ დაზღვევის მიზნით, ამინომჟავების შესაძლო ფრაქციის მოსაცილებლად ნახშირზე ვატარებდით 0.1M HCl . ნახშირის სვეტს ვრეცხავდით ბიდესტილატით, ვერცხლის ნიტრატით ,ქლორზე უარყოფით რეაქციამდე. პოლიფენოლების ელუირებას ვახდენდით აცეტონის 90%-იანი წყალხსნარით, უფერო ხსნარის გამოსვლამდე. აცეტონის მოსაცილებლად ნახშირის სვეტს ვრეცხავდით ბიდესტილატით, ელუატში აცეტონის სუნის გაქრობამდე. ფულვომჟავების ფრაქციის ელუირებას ვახდენდით 0.1 M NaOH -ის ხსნარით, მუქი ყავისფერი ხსნარის გაბაცებამდე.

ფულვომჟავების სუფთა ნიმუშების მიღება. ფულვომჟავების ტუტე ხსნარის გასასუფთავებლად ,შევისწავლეთ კათიონიტების : Lewatit S 1468 (გერმანია), KB-4 и KY-2-8 (რუსეთი) ვარგისიანობა. დადგინდა ,რომ ფულვომჟავები , წინა ორისაგან განსხვავებით , სადაც ფულვომჟავების დანაკარგი 10–25%-ია, პრაქტიკულად არ სორბირდებიან KY-2-8-ზე. აღსანიშნავია ისიც, რომ KY-2-8 გამოირჩევა განსაკუთრებული სისუფთავით და პრაქტიკულად არ შეიცავს მეტალთა მინარევებს. აქედან გამომდინარე ეს კათიონიტი შეირჩა, ფულვომჟავების ტუტე ხსნარიდან სუფთა ნიმუშის მისაღებად.

კათიონიტს გასაჯირჯვებლად რამდენიმე დღე ვათავსებდით წყალში და შემდეგ გადაგვექონდა მინის სვეტში ($d\ 2\text{სმ}$, $h=60\text{ სმ}$). კათიონიტის დასამუშავებლად მასზე ვატარებდით 5% HCl -ს . შემდეგ კათიონიტს ვრეცხავდით ბიდესტილატით, ვერცხლის ნიტრატით ქლორზე უარყოფით რეაქციამდე. ამის შემდეგ მასზე ვატარებდით ფულვომჟავების ტუტე ხსნარს, სახამ არ შევამჩნევდით კათიონიტიდან გამოსული ხსნარის pH -ის მატებას ,ან ხსნარის ფერის გამუქებას. მიღებული სუფთა ფულვომჟავების წყალხსნარების ნაწილს , ტიტრის დასადგენად ,ვათავსებდით ექსიკატორში ფტოროფლასტის ჯამზე და ვაშრობით ვაკუუმში , ოთახის ტემპერატურაზე . სუფთა ფულვომჟავების მშრალ ნიმუშებს და ტიტრიან ხსნარებს, ვიყენებდით ელემენტური ანალიზისთვის, სხვადასხვა pH -ზე მოლეკულურ-მასური განაწილების, პოტენციომეტრული მეთოდით დისოციაციის მუდმივების დასადგენად და მეტალებთან კომპლექსწარმოქმნის პროცესების შესასწავლად .

ნაცრიანობა. ფულვომჟავების მახასიათლებლის და კომპლექსწარმოქმნის შესწავლისას აუცილებელი პირობაა, გამოყოფილი ნიმუშები ხასიათდებოდეს მცირე ნაცრიანობით და პრაქტიკულად არ შეიცავდეს მეტალთა მინარევებს .

ფულვომჟავების ნიმუშების ნაცრიანობას ვსაზღვრავდით მუფელის ღუმელში 900 გრადუსამდე გახურების შემდეგ დარჩენილი ნაშთის აწონვით . ჩვენს მიერ მიღებული ნიმუშების ნაცრიანობა <0,4

2.2.ფულვომჟავების პოტენციომეტრული გატიტვის და სეფადექს G-25 დაკალიბრების მეთოდები

. 50 მგ ფულვომჟავების ნიმუშს ვხსნიდით 20 მლ , 0,095 M ნატრიუმის ტუტეში. ხსნარის საბოლოო მოცულობა ორჯერ გამოხდილი წყლით მიგვყავდა 25 მლ-მდე ($\mu=0.1$ KCl).

ფულვომჟავების ტუტე ხსნარს ვუმატებდით 0.1–0.1 მლ 0.11 M HCl .უკუგატიტვის დამთავრებისთანავე (pH=3.01) ხსნარს ვუმატებდით 0.1–0.1 მლ 0.095 M NaOH. pH -ის ანათვალს (pH meter pH2006) ,ორივე შემთხვევაში ვიღებდით რეაგენტების ყოველი ულუფის დამატების შემდეგ. ფულვომჟავების პოტენციომეტრული გატიტვის მონაცემებით ავაგეთ პირდაპირი და უკუ გატიტვის დიფერენციალური მრუდები.

ვიღებდით 17გ სეფადექს G-25 . ვუმატებდით ბიდესტილატს და ვაყოვნებთ 3–4 სთ გაჯირჯვებამდე . პერიოდულად ვუცვლიდით გამხსნელს, სანამ მისი პერმანგანატული ჟანგვადობა მუდმივ სიდიდეს არ მიაღწევდა. შემდეგ ჭარბ წყალს ვაცილებდით და სეფადექსის სუსპენზია, სხვადასხვა ფენის წარმოქმნის ასაცილებლად, ერთბაშად გადაგვქონდა სვეტში. 2–3 წთ-ის შემდეგ ვხნიდით სვეტის ონკანს და გელი იწყებდა თანაბრად დალექვას, პერიოდულად ვუმატებდით გამხსნელს. გელის სვეტის პარამეტრები: გაჯირჯვებული ფენის სიმაღლე 42 სმ, სვეტის შიგა დიამეტრი 1,6 სმ. სვეტის თავისუფალ მოცულობას ვსაზღვრავდით $2,5 \cdot 10^6$ მოლეკულური მასის მქონე 2 მლ ბლუდექსტრანის ელუირების მოცულობის დადგენით (T=1 მგ/მლ, გატარების სიჩქარე $v=3$ მლ/წთ). ელუანტად ვიყენებდით ბიდესტილატს . ვაგროვებდით 5 მლ მოცულობის ფრაქციებს და სპექტროფოტომეტრული მეთოდით (Spectrophotometer LI-722,model 4201/20, $\lambda=340$ ნმ, $l=10$ მმ) ვზომავდით 5 მილილიტრიანი ფრაქციების ოპტიკურ სიმკვრივეებს. დადგინდა , რომ მიღებული გელის სვეტის თავისუფალი მოცულობა $V_0 = 35$ მლ.

G-25 -ის სვეტის დაკალიბრებისათვის ვიყენებდით 300, 600 და 1000 საშუალო მოლეკულური მასის მქონე პოლიეთილენგლიკოლებს და გლუკოზას (M=180). T=1მგ/მლ, $v=3$ მლ/წთ, დატანილი მოცულობა– 2 მლ. 30მლ–დან (თავისუფალი მოცულობის წინა ფრაქცია) ვაგროვებდით 5-5 მლ ფრაქციებს. მათში სტანდარტული ნივთიერებების კონცენტრაციას ვადგენდით პერმანგანატული ჟანგვადობის მეთოდით.

დაკალიბრების შედეგები : თავისუფალი მოცულობა 35მლ (I ფრაქცია).

სტანდარტული ნივთიერებების გამოსვლის მოცულობები, საშუალო მოლეკულური მასების მიხედვით : 40მლ , Mw1000, II ფრაქცია, 45მლ,Mw600, III ფრაქცია,50მლ,Mw300,IY ფრაქცია, 55 მლ ,300 >Mw>180,Yფრაქცია და 60მლ , Mw180, YI ფრაქცია.

2.3.ხსნადობის და გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდები

M-FA-H₂O სისტემაში კომპლექსწარმოქმნის შესწავლისას, აუცილებელია რომ გამოყენებული კვლევის მეთოდით შეძლებოდეს, როგორც თავისუფალი მეტალის იონის , ასევე ფულვატური კომპლექსის და თავისუფლი ლიგანდის კონცენტრაციის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა –გათვლა. ამ თვალსაზრისით, გელფილტრაციის მეთოდს კონკურენტი არ გააჩნია. მისი საშუალებით შესაძლებელია უშუალოდ კომპლექსში მყოფი მეტალის რაოდენობრივი განსაზღვრა. ხოლო ხსნადობის მეთოდი და სწორად შერჩეული მეტალის მცირედ ხსნადი ნაერთი , გამორიცხავს სისტემაში პოლიბირთვული ჰიდროქსოკომპლექსების წარმოქმნას, რაც საიმედოს ხდის ფულვატების მდგრადობის მუდმივების გათვლას.

ხსნადობის მეთოდით შესწავლის მეთოდიკა.

pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობაზე, მეტალთა ჰიდროქსიდების ხსნადობების გათვალისწინებით, ფულვომჟავებთან კომპლექსწარმოქმნის პროცესებს ვსწავლობდით pH7.0-ზე (Cu(II) , 8.0-ზე და 9.0-ზე(Zn(II), Cu(II) და Ni(II)) .

15 მლ ტევადობის ფთოროპლასტის ცილინდრებში , ცალ–ცალკე ვათავსებდით 0.1 მლ ZnO, Cu(OH)₂, Ni(OH)₂ სუსპენზიებს და ვუმატებდით ფულვომჟავების სტანდარტული ხსნარების მზარდ რაოდენობებს . მუდმივ იონურ ძალას ვქმნიდით 1მლ 0.1 მოლური კალიუმის ნიტრატის ხსნარის დამატებით. ხსნარების საბოლოო მოცულობა V=10 მლ. მოდელოდ ხსნარებში წყალბად-იონების კონცენტრაციას ვარეგულირებდით 0.01 M კალიუმის ტუტისა და აზოტმჟავას ხსნარებით და ვაკონტროლებდით pH -მეტრით (pH meterpH2006). მოდელოდ ხსნარებს, 60 საათის განმავლობაში ვათავსებდით მექანიკურ სანჯღრეველაზე და ვფილტრავდით მემბრანულ ფილტრში (სინპორი N6, ფორების საშუალო დიამეტრი 420 ნმ). ფილტრატებში მეტალების კონცენტრაციას ვსაზღვრავდით ატომურ-აბსორბციული მეთოდით (Perkin elmer 200 და Agilent 280 Z AA).

გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდით შესწავლის მეთოდიკა .

გელ-ქრომატოგრაფიული მეთოდით, ფულვომჟავებთან მძიმე მეტალების კომპლექსწარმოქმნის პროცესებს ვსწავლობდით Co(II)-ისა და Cd(II)-ისათვის pH5.0-დან 9-მდე, Ni(II)-ისა და Zn(II)-ისათვის pH5.0-დან 7-მდე, Cu(II)-ისათვის pH5.0-დან 6-მდე.

15 მლ ტევადობის ფთოროპლასტის ცილინდრებში ცალ-ცალკე ვათავსებდით Co(II),Ni(II),Cu(II),Zn(II) და Cd(II) გარკვეული კონცენტრაციის ხსნარებს, რომლებსაც ვამზადებდით ატომოაბსორბციული მეთოდით განსაზღვრისათვის განკუთვნილი სტანდარტული ხსნარებიდან.მათი კონცენტრაციების შერჩევისას ვითვალისწინებდით, pH-ის კონკრეტულ მნიშვნელობებზე, გელზე საკვლევი მეტალების ჰიდროქსიდების გამოლექვის შესაძლებლობებს. ვუმატებდით ფულვომჟავების სტანდარტული ხსნარების მზარდ რაოდენობებს. მუდმივ იონურ ძალას ვქმნიდით 1მლ 0.1 მოლური კალიუმის ნიტრატის ხსნარის დამატებით. ხსნარების საბოლოო მოცულობა V= 10 მლ . მოდელოდ ხსნარებში, წყალბადიონების კონცენტრაციას , ვარეგულირებდით 0.01 M კალიუმის ტუტისა და აზოტმჟავას ხსნარების საშუალებით.

გელის სვეტის ზედა ნაწილში დაგვექონდა მოდელოდური ხსნარების ალიქვოტები (2-2 მლ). ელუირებას ვახდენდით საკვლევი ხსნარის შესაბამისი pH- ის მქონე 0.01

მოლური კალიუმის ნიტრატის ხსნარით. ბუფერული ხსნარების გამოყენება, იონური ძალის მკვეთრი ცვლილებების გამო, მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ.

ფულვატების გამოსვლის შესაძლო ფრაქციების დასადგენად, წინასწარ შევისწავლეთ სხვადასხვა pH-ის მქონე სუფთა ფულვომჟავების მოლეკულურ-მასური განაწილება ($T = 400 \text{ mg/ml}$, $V=2$ მლ) სეფადექს G-25-ის სვეტზე. ფულვომჟავების ელუირებას ვახდენდით საკვლევი ხსნარის შესაბამისი pH-ის მქონე 0.01 M KNO_3 -ის ხსნარით. ფრაქციებში (I-YI) ფულვომჟავების რაოდენობას ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრული მეთოდით (სპექტროფოტომეტრი Spectrophotometer LI-722, model 4201/20, $\lambda = 340 \text{ nm}$, $l=1 \text{ cm}$)

სეფადექსზე, სხვადასხვა pH-ზე ფულვომჟავების მოლეკულურ-მასური განაწილების გათვალისწინებით, ფულვომჟავებთან დაკავშირებული მეტალების რაოდენობას ვსაზღვრავდით I- IY ფრაქციებში. ანუ იმ ფრაქციებში რომელთა გამოსვლის მოცულობა შეესაბამებოდა ნივთიერებებს მოლეკულური მასით $300 \leq M_w < 5000$. ამისათვის I- IY ფრაქციებს ვაგროვებდით ერთად, და მეტალების რაოდენობას ვსაზღვრავდით ატომურ-აბსორბციული მეთოდით (Perkin elmer 200 და Agilent 280 Z AA). გაერთიანებულ ფრაქციაში მეტალის რაოდენობას (მოლ/ლ) ვანგარიშობდით ფორმულით $[M] = (C \times K) / (1000 \times A_r)$. სადაც C მეტალის კონცენტრაციაა მკგ/მლ ან მგ/ლ, A_r - მეტალის ატომური მასა, K - განზავების კოეფიციენტი. თავის მხრივ $K = V_1 / V_2$ სადა V_1 - სეფადექსიდან გამოსული გაერთიანებული ფრაქციების მოცულობაა, მლ-ში, V_2 - სეფადექსზე გატარებული საწყისი ხსნარის მოცულობა, მლ-ში.

თავი III . შედეგები და განსჯა.

მონაცემები ფულვომჟავების კომპლექსების პირობითი მდგრადობის მუდმივების შესახებ არაერთგვაროვანია და რამდენიმე რიგით განსხვავდება ერთმანეთისგან (ცხრ.2). ასეთი მდგომარეობა ძირითადად განპირობებულია, კომპლექსწარმოქმნის პროცესში როგორც ფულვომჟავების იონიზაციის ხარისხის, ასევე pH-ის მნიშვნელობების მიხედვით, მათი ასოციატების საშუალო მოლეკულური მასების ცვლილებების გაუთვალისწინებლობით, რასაც საბოლოოდ არასწორ შედეგებამდე მივყავართ. ამის გამო შეუძლებელი ხდება ბუნებრივ წყლებში ტოკსიკური მძიმე მეტალების არსებობის ფორმების კორექტული გათვლა, წყალსაცავების ეკოქიმიური მდგომარეობის ობიექტური შეფასება და პროგნოზირება.

ჩვენს მიზანს შეადგენდა: ბუნებრივი წყლებიდან ფულვომჟავების სუფთა ნიმუშების მიღება, მათი ელემენტური შედგენილობის და მჟავური დისოციაციის მუდმივების დადგენა, pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობებზე (5.0, 6.0, 7.0, 8.0, 9.0), Ni(II), Co(II), Cd(II), Cu(II) და Zn (II) ფულვატური კომპლექსების შედგენილობების და პირობითი მდგრადობის მუდმივების მნიშვნელობების დადგენა.

3.1. ფულვომჟავების ელემენტური შედგენილობა და დისოციაციის მუდმივები

ბუნებრივი ობიექტებიდან გამოყოფილი ფულვომჟავების ელემენტური შემადგენლობა (%-ში), ფართო ზღვრებში იცვლება: C, 28.1-დან 59.7 მდე; H, 0.4-დან 8.9 -მდე; N, 0.3-დან 8.2 -მდე; S, 0.1-დან 4.3 მდე და O. 35-დან 58 -მდე (ცხრ.1.).

განსხვავებული მონაცემებია ფულვომჟავების ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებლის, დისოციაციის მუდმივების შესახებაც $pK_{H,COOH} = 1.6 \div 7.0$, $pK_{H,Ph-OH} = 9.0 \div 10.5$ [3,23,25-30,119].

ასეთი განსხვავებული მონაცემების მიზეზი, როგორც ეს უკვე აღინიშნა ლიტერატურის მიმოხილვაში, ფულვომჟავების ჰიგროსკოპულობა, საკვლევი ნიმუშების მაღალი ნაცრიანობა და რაც მთავარია, ფულვომჟავების გამოსაყოფად სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაა.

ფულვომჟავების იდენტიფიკაცია, მხოლოდ ერთი ან ორი მაჩვენებლით შეუძლებელია. თუ არაა დაცული ბუნებრივი ობიექტებიდან მათი გამოყოფის მეთოდიკა. მდგომარეობა ზალზე გართულდა ე.წ. კომერციული ჰუმუსური მჟავების გამოჩენით, რომლებსაც არავითარი საერთო არა აქვთ არც ჰუმინის და არც ფულვომჟავებთან. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მძიმე მეტალებთან ფულვომჟავების კომპლექსწარმოქმნის პროცესის შესწავლისათვის არ გამოგვეყენებინა კომერციული ფულვომჟავები და თავად მიგველო ლიგანდის სუფთა ნიმუშები.

დადგინდა, რომ ბუნებრივი წყლებიდან, ადსორბციულ-ქრომატოგრაფიული მეთოდით (სორბენტი გააქტიურებული ნახშირი) გამოყოფილი ფულვომჟავების სუფთა ნიმუშები, ელემენტური შედგენილობით და ნაცრიანობით, პრაქტიკულად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (ცხრ. 3).

წყლიდან ბუნებრივი გამოყოფილი ფულვომჟავების ელემენტური შედგენილობა


საკვლევი ობიექტი	ნაცრ,%	%				
		C	H	N	O	S
ფარავნის ტბა	0.35	51.5	3.8	1.5	42.0	1.2
